სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 28 თებერვალს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *ატაკიში აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №18469/06*

აპლიკანტი აზერბაიჯანის მოქალაქეა, დაიბადა 1959 წელს და ცხოვრობს ბაქოში. 2005 წლის საპარლამენტო არჩევნებში იგი დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდა კენჭს. იგი ჩივის, რომ მას ჩამოერთვა არჩევნებში მონაწილეობის უფლება ამომარჩეველთა მოქრთამვის გამო. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველის ოქმის III მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველის ოქმის III მუხლი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 7.500 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1.385 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *ფაშაევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №36084/06*

აპლიკანტი აზერბაიჯანის მოქალაქეა, დაიბადა 1957 წელს და ამჟამად სამუდამო პატიმრობის სასჯელს იხდის ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრობისა და წინასწარ განზარხული მკვლელობის გამო. იგი გაასამართლეს 1991 წლის ნოემბერში. განმცხადებელი ჩივის, რომ ადგილობრივ სასამართლოებში მისი პატიმრობის პირობების თაობაზე საქმის განხილვა მიმდინარეობდა მისი თანდასწრების გარეშე, რითის განმცხადებლის აზრით დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. ამას გარდა, განმცხადებელი ჩივის, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა არ განიხილეს მისი საჩივარი მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით, რითაც, განმცხადებლის აზრით, ასევე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ ორივე შემთხვევაში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 4.800 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *მეჰმეთ ემინ შიმშეკი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №5488/05*

აპლიკანტი თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1960 წელს და ცხოვრობს ბატმანში. ის იყო იმამი მეჩეთში. 2000 წლის თებერვალში იგი დააკავეს და მიუსაჯეს წინასწარი პატიმრობა უკანონოდ შეიარაღებული ფუნდამენტალისტური ორგანიზაციის „ჰეზბოლას“ წევრობის გამო. 2005 წლის 5 მაისს რელიგიურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელმა იგი ჩამოაშორა თავის საქმიანობას, რადგან ის დაკავშირებული იყო უკანონო ორგანიზაციასთან, რაც დაასაბუთა იმით, რომ განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებდა იმამის თანამდებობის მოთხოვნებს. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმის განხილვა არ იყო შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული,

რადგან მას ვერ გადასცეს სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული დასკვნის სასიგნალო ეგზემპლარი სასამართლოში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

<u>გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე</u>

- ***Międzyzakładowa Organizacja Związkowa NSZZ Solidarność de Świdnica – პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №13505/08***

წარმოდგენილ საქმეზე განმცხადებელი, რომელიც პოლონეთში დაარსებული კავშირია, ჩივის, რომ მისი სამოქალაქო საქმის განხილვა გაჭიანურდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.